2017 წლის 3-7 აპრილს გაიმართება

მესამე საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

,,უკრაინა-ევროკავშირი, თანამედროვე ტექნოლოგიები, ბიზნესი და სამართალი“

(სლოვაკეთი-ავსტრია-უნგრეთი)

**კონფერენციის მიზანი:**

ევროკავშირთან ურთიერთობის სამეცნიერო გამოცდილების განზოგადება თანამედროვე ტექნიკის, მდგრადი განვითარების, განათლების სფეროს ინოვაციების, სოციალური მუშაობისა და სოციალური ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, სამართლის თეორიისა და პრაქტიკის, ეკონომიკაში დისციპლინათშორისი მიდგომებისა და თანამედროვე შეხედულებების, ასევე, გარემოს სოციალური განვითარებისა და დაცვის მიმართულბებში.

**კონფერენციის მიმართულებები:**

• თანამედროვე ინჟინერია;

• გარემოს დაცვა;

• ეკონომიკის თანამედროვე პრიორიტეტები;

• მართვა და საჯარო მმართველობა;

• ინოვაციები განათლებაში. უმაღლესი განათლების სისტემის აქტუალური პრობლემები და ევროინტეგრაცია;

• სოციალურ-კულტურული პრობლემები. სოციალური მუშაობის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, სიციოლოგიიის ინოვაციები;

• იურიდიული პრაქტიკისა და თეორიის აქტუალური საკითხები.

**კონფერენციის ორგანიზატორები:**

უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (უკრაინა)

უკრაინის მეცნიერების ეროვნული აკადემიის დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტი

უკრაინის მეცნიერების ეროვნული აკადემიის უკრაინის განვითარების ინსდუსტრიული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ივანო-ფრანკოვსკის ნავთობისა და გაზის ნაციონალური ტექნიკური უნივერსიტეტი (უკრაინა)

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ,,ევროპული ჩერნიგოვი“ (უკრაინა)

საზოგადოებრივი ორგანიზაცია ,, ევრაზიული კვლევებისა აღმოსავლეთმცოდნეობის ზოგადუკრაინული ინსტიტუტი“ (უკრაინა)

ვენის ეკონომიკური უნივერსიტეტი (ავსტრია)

მიხაილ ბოლუდიანსკის აკადემიური საზოგადოება (სლოვაკეთი)

ტექნიკური უნივერსიტეტი კოშიცეში (სლოვაკეთი)

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)

მიშკოლცის უნივერსიტეტი (უნგრეთი)

მენეჯმენტის უმაღლესი სკოლა ვარშავაში (პოლონეთი)

დ. ა. ცენოვის სახელობის სამეურნეო აკადემია (ბულგარეთი)

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი (საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (საქართველო)

აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)

აზერბაიჯანის ტექნიკური უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)

**ვ ა დ ე ბ ი:**

**კონფერენციაზე დასწრების მსურველთა** ელექტრონული რეგისტრაცია და პასპორტის სკანირებული ვერსიის გადაგზავნა - 2017 წლის 20 იანვრამდე, მისამართზე: https://goo.gl/forms/4wJBZlWlULgSterz1; თეზისების წარდგენა - 2017 წლის 1 თებერვლამდე, მისამართზე: conf.kosice@gmail.com

კონფერენციაში მონაწილეობის მოსაკრებელი - 340 ევრო (გადახდა წარმოებს კოშიცეს უნივერსიტეტში რეგისტრაციის გავლისას).

**კონფერენციაში დაუსწრებლად მონაწილეობის მსურველთა** ელექტრონული რეგისტრაცია - 2017 წლის 15 თებერვლამდე, მისამართზე: https://goo.gl/forms/4wJBZlWlULgSterz1 , სტატია იგზავნება მისამართზე: conf.kosice@gmail.com

კონფერენციაში დაუსწრებლად მონაწილეობის გადასახადი - 350 გრივნა.

კონფერენციის კრებულის ელ-ვერსია ხელმისაწვდომი იქნება 2017 წლის 30 მარტიდან;

დაუსწრებელ მონაწილეებს კრებული დაეგზავნებათ 2017 წლის 10 აპრილამდე.

**კონფერენციის გრაფიკი:**

**2017 წლის 3 აპრილი, ორშაბათი**

კონფერენციის მონაწილეთა ჩასვლა უჟგოროდში, ტრანსფერი უჟგოროდი-კოშიცე, ქ. კოშიცეში სასტუმროში დაბინავება; სადილი; კონფერენციის გახსნა - საერთაშორიოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კონსორციუმის პრეზენტაცია; დისკუსია; ექსკურსია კოშიცეს ღირშესანიშნავ ადგილებში; ვახშამი.

**2017 წლის 4 აპრილი, სამშაბათი**

საუზმე; სამეცნიერო სემინარი ,,ეკონომიკის პრიორიტეტები ევროინტეგრაციის კონტექსტში"; ტრანფერი უნგრეთამდე; მრგვალი მაგიდა მიშკოლცის უნივერსიტეტში (უნგრეთი); სადილი; ტრანსფერი ბრატისლავამდე; სასტუმროში შესახლება; ვახშამი.

**2017 წლის 5 აპრილი, ოთხშაბათი**

საუზმე; კონფერენციის პლენარული სხდომა; შესვენება; სექციური სხდომები; სადილი; კონფერენციის შეჯამება, სერტიფიკატების გადაცემა; საზეიმო ვახშამი.

**2017 წლის 6 აპრილი, ხუთშაბათი**

საუზმე; ტრანსფერი ავსტრიამდე; ექსკურსია ქალაქ ვენაში; სადილი; ვორკშოპი ,,თანამედროვე ინჟინერია: ევროპული ინოვაციების და აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების პერსპექტივები"; ბრატისლავაში დაბრუნება; ვახშამი.

**2017 წლის 7 აპრილი, პარასკევი**

საუზმე; ტრანსფერი უნგრეთამდე; ექსკურსია ქალაქ ბუდაპეშტში; სადილი; ვორკშოპი ,,იურიდიული ტეორიისა და პრაქტიკის აქტუალური პრობლემები"; ტრანსფერი ქალაქ კოშიცეში; სასტუმროში დაბინავება; ვახშამი.

**2017 წლის 8 აპრილი, შაბათი**

საუზმე; ტრანსფერი ქ. უჟგოროდამდე.